„ახალი სოფლის“ ბიბლიოთეკა

57

მოთხრობები

№ 2

№1. იყო
ქ ქუჩაში
ერთ-ერთ
(ასეთი ფიქრით
ქალაქი)



ГАЗЕТ ЭЛЕКТРОННЫЙ АРХИВ
Академия наук СССР

ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის
საქართველოს ეროვნული
ბიბლიოთეკა-არქივი
ილია ჭავჭავაძის

4861

ნიკო ლორთქიფანიძე

გლეხკომმა უშველა

მერცხალმა რომ ჟღურტულს მოუხშირა. სოლო უკვე ფეხზე იდგა.

ფრთხილად გამოაღო ქოხის კარი და დერეფნის კუთხეში მიყუდებულს თოხს ხელი წამოავლო. იქვე კარის კოჭთან რკინაზე ხეხისაგან წელში ოდნავ შეზნექილ ჭალანგარსაც ფიცხლავ დასწვდა, მიწაზე ალმაცერად წამოწვენილი თოხის ტარი ფეხებქვეშ მოიმწყვდია და პატარა ხანს უკან დილის ჯერ კიდევ ოდნავ ბინდიანსა და მიმკვდარებულ ჰაერში გაისმა თოხის პირზე ქვის ფხიანი „ჭახა-ჭუხი“.

მამალი მერცხალი ოდნავ დაფრთხა, დედალმა კი თავისი თიხის სიმაგრის კიდიდან თავი ისე გადმოჰყო, თითქოს საფარიდან ძველი მეკიხოვნე გადმოდგა ხელში სამტროდ მომართულ შვილდისარითაო.

სოლოს მეუღლემ, ფატიამ, თვალები ზანტად გაახილა, წამოიწია და ფეხთით მწოლარე თავისი უფროსი ვაჟის ზურგზე გადახდილ საბანს ზარმაცად დაუწყო სწორება.

უმცროსი გვერდით ეწვა. დედის გაღვიძება ამანაც იგრძნო, ოდნავ შეირხა, თავზე ზევით და ქვევით შემოდებული თათები გაიზთავისუფლა და, თითქოს დედის მკერდს ეძებსო. ჰაერში ფათური დაიწყო ფუნთუშა ხელებით.

დედამ იმასაც წაახურა საბანი და ბავშვიც დაშოშმინდა.

— ჩხაკ-ჩხუკ-ჩხაკ!.. ჭახ!.. ჭუხ!.. გაისმოდა დერეფანში.

დერეფნის თავზე კი ზღურბლს ზემოდან ბუდიდან წამოშლილს დედალ-მამალ მერცხალს ერთი დაუსრულებელი ჟღურტული გაჰქონდათ.

პირმოლესილი თოხი სოლომ მხარზე გაიდო, ზედაც მაზარის ნაგლეჯი გადაიგდო და წასასვლელად მოემზადა. ამ დროს დერეფანში თვალების ფშვნეტითა და კაბის ზედა წელზე ღილების სკვნით, ფატიაც გამოვიდა.

— მე „ნაშენობაზ“-ში მივდივარ; ევთიმე ხარებით მოხმარებას შემპირდა და იქნება დღეს გამოვათბო კიდეც ის სახნავი. სადილთან ერთად ცოტა სათესლეც წამოიძღვანიე, იქნება ახლა ამითავდეს!

ამ სიტყვებზე ტომრით ადრიანადვე მომარაგებული სათესლე სიმინდსაც წამოავლო ხელი. თოხსა და მაზარას ზე ვიდან მხარზე გადმოიკიდა ზურგში მოგდებული ტომრის თავი და ჩაუქნაბიჯით გასწია სამუშაოსაკენ.

***

ადრიანი გაზაფხულის დილა ცისარტყელასავით იყო გადაშლილი იქით და აქეთ.

ყვაოდენ ატმები, ალუბლები, მსხალი და ვაშლი.

მინდორ-ველი ყაყაჩოებით, გვირილებითა და ბაიებით იყო მოკაზმული...

გზის პირებს ელი და ბარდ-ალერდი ამაყად წამოსდგომოდა თავს. აქა-იქ ლობის ძირებში მორცხვი იაც კი მინაბულიყო და ისე საკოდავათ გამოიყურებოდა, თითქოს რკინვნია თავისი უბირი ტანისამოსისაო.

ჯერ კიდევ ნორჩი სიმწვანით შეჭუჭყებული ტყე მომაღლოდ იდგა და თავს ისე წამოსდგომოდა მიდამოს, თითქოს ქვევით, სოფელში ჭორწილია და ეს ზევიდან საჭორწილო სეფის მაგიერობას ეწევაო. ახლად გამოღვიძებული

ჩიტები ტყესა და ჭალას ხალისიანად მოსდებოდენ: ვინ ჭიოდა, ვინ ჩიოდა და ვინ ისეთის სინაზით სწნავდა, ჰგრეხ და და აკრიმანჭულებდა თავის ხმას, რომ უკვე ძნელი ხდებოდა მისთვის ერთხელ მინებებული ყურადღების მოტაცება.

ხევში რუ მოშხუოდა და ზამთარში შეჩვეული სიანჩხლე ახლა შეეცვალა ამ ლილის შესაფერ ხალისიან მუსიკად, თითქოს მთა მწყემსია, რომელიც მის ფეხთით გაშლილ ფარას, ტყისა, მინდვრების თუ ამწვანებული სოფლების სახით, თავს წამოდგომია, ხოლო ეს რუკი სალამურად გამოუკვეხებია პირშიო.

სოლომ გადასერა რუ, გავიდა მეორე ნაპირას, აირბინა რამდენიმე საფეხურად აღმართული ბილიკი და დაადგა ფართო სასოფლო გზას.

***

დილის სიხალისემ სოლოს ოცნებას სილაღის ფრთები შეასხა.

მართალია, სიღარიბე და განვლილი ცხოვრების სიმძიმით დასეტყვილი გული სოლოს ამ მიმართულებით გზას ძალიან უკრავდა, მაგრამ ერთის მხრით —ახალი ყოფის დამკვიდრება, ხოლო —მეორეს მხრით — დიდი წვალების შემდეგ საკუთარი კერის გაჩენა და ახალგაზრდული სიჯანსაღე მას მაინც იმედს აღუძრავდა მომავალისადმი.

ისიც ცხადია, რომ სოლო ჯერჯერობით თითქმის უკანასკნელ დასაყრდენებს უფრო ემყარებოდა და კერძო საკუთრების სურვილებით მაგრად იყო შეარტახებული.

ამაში დამნაშავე გახლდათ მთელი მისი წარსული, მთელი ის ზნე-ჩვეულება, რომელთა პირობებშიც ხდებოდა სოლოს აღზრდა და განვითარება.

ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში, როცა სოლო პატარა ნაცარ - ქექია ბავშვი იყო, მას მშვენივრად ახსოვს თავისი ოჯახის შევიწროება ყიამეთა პენტიაშვილის მიერ. სოლოს მამას და ყიამეთას თითქმის შეუწყვეტელი და დაუსრულებელი დავა ჰქონდათ ერთმანეთში ხან ადგილსა, ხან ფულსა და ხან ოჯახის სხვა რაიმე დოვლათზე.

შენიშნული იყო, რომ, ამ დავის ყოველი შემთხვევის შემდეგ, ყიამეთა მუდამ გამარჯვებული და ნივთიერადაც მოგებული გამოდიოდა.

სანამ სოლოს მამა მოკვდებოდა, ყიამეთამ, ასე ვსთქვათ, „ბევრი ქონი“ მიიკრა იმათი სარჩო - საბადებულიდან და ასე გამდიდრებულ - ჩამსუყებული ოჯახი დაუტოვა თავის შვილს, სიპიტას.

თვითონ სიპიტაც არ იჯდა შემდეგში გულ-ხელ-დაკრეფილი და მამისაგან დატოვებულს თავის „შრომითა“ და ღვლეტით შენაძენსაც ზედ უმატებდა. ამ დროს კი სოლომ სხვების კარზე მოჯამაგირეობასა და ხეტიალში თითქმის უსარგებლოთ გაატარა ახალგაზრდობა.

— მაგრამ — ვენაცვალე საბჭოთა ხელისუფლებას — იტყვის ხოლმე სოლო—ამ „თიაქარიანის“ ყოყოჩობას ხომ მაინც დაუდო საზღვარი!..

***

სოფლის შეძლებულ ნაწილს პირველ ხანებში შიშის ქარი დაჰბერა ახალი ხელისუფლების დამყარებამ და სოლოს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რადგან მას ჭირივით ეჯავრებოდა ყველა ესენი.

არ იყო ეს მარტო უბრალო გლეხური შურისა და გაუტანლობის შედეგი. ამ შეძლებული ხალხისაგან სოლოს ბევრი ჭირი და შევიწროება ჰქონდა გამონაცადი თავისი მოჯამაგირეობის ხანაში. თითქმის არც ერთი „ხაზეინიდან“ არ გადმოუარია სოლოს ისე, რომ მისთვის მუდამ რაიმე ან არ წაეცინცლოთ და ან არ შეერჩინოთ ხვედრი ხელფასი და პირდაპირ „ლომის ულუფა“.

ორი წელიწადი ევთიმა კირკიტაძესაც კი ედგა მოჯამაგირეთ სოლო.

ევთიმას თუმცა თითქმის არაფერი შეურჩენია მისი, მაგრამ სახლი, რომელიც ახლა სოლოს უდგას და რომელიც მან ევთიმას გამოართვა ჯამაგირში, მამასისხლად კი დაუსვა შეძლებულმა ევთიმამ. ბევრი აჯანჯღლა და აწვალა, სანამ ბოლოს სახლს დაუთმობდა.

—დაგასახლე კაცია — ყველდრებით ეტყვის ხოლმე ევთიმა სოლოს ახლაც. როცა კი ამ უკანასკნელს დაიხელებს, თითქოს მთისა და გორის სიმძიმე სიკეთე უყო მას, თუ ორი წლის ნაწვავნადაც შრომის საფასურად ნახევრად დამპალი ქოხი მიუგდო ბოლოს და ისიც, დიდი წვალებისა და თხოვნა-მუდარის შემდეგ.

***

ევთიმა კირკიტაძე სოფელში შეძლებული გლეხია. ნამდვილი ბობოლაა, მასთან — ავყია და ხარბი.

ოჯახი სავსე აქვს დოვლათით, „პოდრათებში“ ჩამკვდარმა მამამ დაუტოვა ბუთი თვალი წაბლის ხის ოდა, ვეებერთელა სამზარეულო, ურიცხვი წვრილ - წვრილი ნაგებობანი, უღლათ ხარები, ცხენი თავისი ფაშატით, ხუთიოდ მეწველი ძროხა, ჯოგი და, ასე გასინჯეთ, წისქვილში საფქვავის სათრევათ ვირიც კი.

ეს პირუტყვი სოფელში იშვიათია: თითქმის ერთად ერთი და, ამის გამო, სოფლის გოგო - ბიჭების გასართობ საგანსაც სწორედ ის შეადგენს.

თითონ ევთიმამ ოჯახს მეორე უღელი ხარიც კი შემატა.

მიუხედავათ ამისა, ევთიმას მაინც სხვების მცირე რამ ქონებისაკენ უჭირავს ნიადაგ თავისი ხარბი თვალი.

***

სოლო თითქმის მთელი ერთი კვირა ეღრიჯებოდა ევთიმას. ბოლოს, ზედმეტ ერთი დღის მოხმარების შეპირებით, ძლივს დაიყოლია და დღეისათვის ხარებით შეიპირა თავის ერთად-ერთ დღიურ ადგილში, „ნაშენობან“-ში.

მიეშურება სოლო. ევთიმა კირკიტაძისთვის ის ალთქმული ერთი ზედმეტი დღე ეკალივით ესობა მას გულში, მაგრამ, აბა, რა უნდა ქნას. დრო უკვე თითქმის ხელიდან წასულია. თუ დღეს არ მოთესა თავისი მიწა, მორჩა — ზეგ უკვე კვირაა; შემდეგ, ვინ იცის, კიდევ რა გამოეკვრება... ამ თესვის მიწურულში ერთ–ორ დღეს თითქმის თვის ღღენი მნიშვნელობა აქვს.

მაგრამ დღეს ხომ სოლო უკვე იმედიანათ არის, ხარი მოუვა, ამინდიც თითქოს განწყობ შერჩეულია!..

და სოლოს სიხარულისაგან ამჩატებული ტანი რეზინის ბურთივით მიროკავს და მიხტის თემშარაზე, თითქოს მიწას ფეხებს არც კი აკარებსო.

***

სოლო უკვე ადგილზეა.

— რათ იგვიანებს, ე ოჯახ ამოსაფხრობი. „მადლი ჰქენი, მარილიც მოაყარე“-ო, ბარემ.

და სოლო ბუზღუნებს. გულ - ნატკენი გლეხი მოუთმენლად გაჰყურებს თემშარას ევთიმას მიმართულებით.

მაღლობზე ვილაც გადმოდგა და გადმოსძახა:

— სოლო, აა, სოლო!

სოლომ ხმა გასცა.

— მამაჩემი თავს დღეს შეუძლოთა გრძნობს. ნიშა ხარიც რაღაც ფეხს იტკივებს... უკაცრავად ვართ, მაგრამ, დეე, ისევ ორშაბათის კვირისათვის იყოსო, მამაჩემმა!.. — გადმოხძახა ევთიმას უფროსმა ვაჟმა.

სოლოს ცივმა და ცხელმა ოფლმა დაასხა.

— არა, ორშაბათსაც რომ აღარ ასახელებს?! „ორშაბათის კვირისათვის იყოსო“...

— შენი ოჯახი დეიჭცა, ევთიმა კირკიტაძევ!...—სასოწარკვეთილებით წამოიძახა სოლომ და თოხი მიაგდო ხის ძირისაკენ.

ოცნებამ მოიტაცა სოლო და მდინარის მკერდზე ატივტივებულ ნაფოტივით გაიტაცა სადღაც შორს, შორს...

ეს იყო ნაჯინჭველი დათვის მდინარის მორევში ჩავარდნა, მისი აჭაფებული ტალღებისათვის თავის მიცემა, სინამდვილის დასავიწყებათ, ამ უკანასკნელისთვის თავის წასართმევად.

სინამდვილე კი შავი ჭიანჭველებივით გარს ეხვეოდა სოლოს ოცნებას, გზას უშრიდა, ჰკბენდა, ლურსმნებივით ეცემოდა შიგ და უამრავი ჭრილობით ავსებდა მას.

აი, მოახლოვდა მის წინ ქალაქი, ამას წინად საზრდო სიმინდის ფქვილის საყიდლათ რომ ინახულა სოლომ.

საკმაოდ ცხელოდა. გზა მტვერიანი იყო და გრძელი, დაუსრულებლად გრძელი. ქალაქში ქვის კეცები მიჰქონდა გასასყიდათ. კეცები უნდა გაეყიდა პარასკეობაში და აღებული ფულით ოჯახის საკვები სიმინდის ფქვილი უნდა შეეძინა.

გზა ფიქრებითაც დამძიმებული იყო და ამიტომ კიდევ უფრო გრძელი, კიდევ უფრო მტვრიანი და მოსაწყენი მისთვის. იქითაც ტვირთი, აქეთაც... კიდევ კარგი, თუ კეცები გაიყიდა და ეს დაუსრულებელი გზა აქეთაც ზურგში ამ უძრავი ქვით დამძიმებულს არ შეექნა ისევ წამოსათოკავი!..

— ეეჰ, რა ცუდათაა მოწყობილი ეს ქვეყანა!..

„ჩვენ ჩვენს ქვეყანას შევქმნით ახალს“

მოისწრაფა უცბათ სოლოს ყურს ინტერნაციონალის სასიამოვნო ხმა.

ეს სიმღერა სოლომ იქ შოისმინა, ქალაქში, იმ დღეს, გზისაგან დაღლილ-დაქანცული, გამტვერიანებული და გაოფლიანებული რომ ჩავიდა.

ტვირთი ჩამოსდგა ქალაქის ყაფანთან, ხოლო თვალი და ყური კი იქით დარჩა, სადაც ხალხი ერთ ადგილს შეგროვილიყო, წინ მშვენივრად მორთული ტრიბუნა მოსჩანდა, ზედ ორატორები ერთი - მეორეს სცვლიდენ, ხოლო ტრიბუნის წინ ჩამწკრივებულები, სულ ახალგაზრდები, ჯერ - ლონითა, ხალისით და ცხოველმყოფელი ცეკვით საესენი დრო და დრო ამ სიმღერას იმეორებდენ.

„ჩვენ ჩვენს ქვეყანას შევქმნით ახალს“...

სოლოსთვის გაუგებარი იყო აზრი ამ სიტყვებისა.

როგორი უნდა იყოს, ნეტავი, ეს „ახალი“ ქვეყანა?! და სოლოს ოცნებაშიც უცბათ ისევ ფრთები შეისხა.

***

— სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია — აი, ერთად ერთი ხსნა დღევანდელი დაქუცმაცებული მეურნეობებისა სოფლად! — რიხითა და სიბეჯითით განაცხადა ერთმა ორატორმა ტრიბუნიდან...

„ჩვენ ჩვენს ქვეყანას შევქმნით ახალს“...

გადაეწერა და გადაექსოვა ორატორის სიტყვებს იქვე სიმღერის ეს დაძახილიც.

სოლოს არ ესმის კარგათ, თუ რას ნიშნავს ეს რაღაც კოლექტივიზაცია. მართალია, მას გაგონებული აქვს, რომ სადღაც გლეხებმა შეჰკრეს კოლექტივი, ერთად შრომობენ, მაგრამ რა უნდა იყვეს ამაში ისეთი ახალი, რომელიც ახალ ქვეყანას უპირებს შექმნას, აი, ეს კი ვერ გაუთვალისწინებია მას.

— ამხანაგებო! — განაგრძობს ახლა მეორე ორატორი — ძველებური, მამაპაპური იარაღებით შორს ვერ წავალთ. საჭიროა კავ - საბნისი შესცვალოს რკინის დიდმა გუთნებმა, ტრაქტორებმა და სხვა გაუმჯობესებულმა იარაღებმა. საჭიროა სოფლად დაარსდეს სხვადასხვა კოლექტიური ამხანაგობანი, რომელნიც ეცდებიან დაამყარონ სოფლის მეურნეობაში მიწის დამუშავების ახალი წესები... დღევანდელი „თესვის კამპანიაც“ სწორედ ამ საკითხებისა და სხვა მრავალ ამასთან დაკავშირებულ საკითხების გარკვევასა და გამუშავებას ემსახურება.

— რაო? „თესვის კამპანიაო“?! თესვაზე ფიქრმა ლამის გამათეთროს, დამაბეროს და გამაჭაღაროს კაცი — გაიფიქრა უცბათ სოლომ და გაოგნდა, ოცნება და სინამდვილე უცბათ ისევ ბურუსში გაეხვია... ისევ ევთიმა კირკიტაძის ოინი და გაუმართლებელი ღალატი მოაგონდა, ისევ შავი ჭიანჭველები შემოესია სოლოს ოცნებას...

— შენი ოჯახის გადამავება, შენი აღაპი მომესწროს, ევთიმა კირკიტაძევ! — წამოიძახა სოლომ და უიმედოთ გააქნია თავი...

***

— ტრაქტორი იხსნის ჩვენს საქმეს... ტრაქტორი თავისით ხნავს, თავისით დადის, ხარი არ უნდა და ცხენი, შოლტი და შეძახება...

და სოლომ დაუღრმავა ოცნებას, ხსოვნაში მთელმა მზემ შემოანათა, სწორედ ისე, მთის წვერზე რომ გადმოდგა დღეს, განთიადისას. სოლომ მშვენივრად დაინახა დღეს ეს მზე. პირველი ის მიეგება ჰას ამ დილით სოფელში... მერე რა გამოვიდა? მის თავზე ცა ისევ შავმა ღრუბლებმა მოიცვა, უიმედობამ დაამძიმა მისი მზის აბრისვლითა და დილის სიხალისით ატკბებული გული...

მაგრამ...

— ტრაქტორი რომ ჰქონდეს ახლა, ალარც ევთიმა კირკიტაძის ღირღიტი დასჭირდებოდა მას, გულს ასე ვეღარ მოუკლავდა მისი ასეთი სიტყვიერით გადმომახებული ცივი უარი...

რას უზამ? ევთიმა ღონიერია, ორი უღელი ხარი ჰყავს; რომ დასჭირდეს, ოთხსაც გაიჩენს; ევთიმას ხელი ძლიერია. ძლიერ ხელს კი ყველაფერი ბადესავით მოჰყვება ხოლმე.

სოლო კი იქცევა ახლა, პარტახდება... თუ „ნამენობანიც" ვეღარ დასთესა, მორჩა. სხვა ადგილს ხომ თავისთავად ვეღარ დასთესს, რადგან მეტი ადგილი მას მაინც არ გააჩნია...

***

მაგრამ, აი, უცბათ მდინარიდან ამოტივტივებულ ნივთივით წამოსწია სოლომ თავისი ხუჭუჭი თმით შემოსილი თავი და სახე რაღაც სასიამოვნო აზრმა სავსე მთვარესავით გაუბადრა.

— მართლა, ჩვენს სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივს ხომ ტრაქტორი აქვს!..

ეს იყო პირველი აზრი, რამაც სოლოს გაუელვა თავში, ამ მძიმედ ჩაფიქრების შემდეგ.

გაიფიქრა სოლომ და გასწია თემაღმასკომის ბინისაკენ, სადაც მოთავსებული იყო კოოპერატივიც, გლეხკომიც და საკრედიტო ამხანაგობაც.

— ტრაქტორი შენს ადგილში არ გამოდგება, ჩემო სოლო!..

ტკბილი ხმით და დაყვავებით ეუბნეოდა სასოწარკვეთილებისაგან თითქმის ფერ-წასულ სოლოს გლეხკომის თავმჯდომარე, იგივე კოოპერატიული ამხანაგობის მდივანიც.

— მაგრამ... დაიცადე!.. ონოფრე!..— გასძახა თავმჯდომარემ თავის თანამშრომელს.

— მგონი დღეს საბა არსად მუშაობს... გაიქეცი ერთი, უთხარი, რომ სოლოს უშველე-თქო... ერთი ორიოდე ფუთი გადარჩენული სათესლეც წამოუძღვანიე სოლოს... ალბათ, ისეთი არ ექნება ამას.

ონოფრე სწრაფად გატრიალდა.

— მოსავლიდან გადაიხდი ქირასა და სათესლესაც... — მიუბრუნდა თავმჯდომარე ყველა ამ ამბით გაოგნებულს სოლოს.

***

პატარა ხანს უკან სოლო წინ მიუძღვებოდა საბნის აკიდულს ცხენს, რომელსაც უკან მოსდევდა სოლოს კარგი ნაცნობი გლეხი, საბა.

საბა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების წევრი და ამ საზოგადოების მიერვე დაქირავებული გლეხი იყო, უმიწაწყლო, ღარიბი და წინად თითქმის სოლოზე უფრო უმწეო.

მაგრამ საბამ დროზე აუღო ალღო თანამედროვე ვითარებას და დღეს წელში გამართულადაც კი გრძნობს თავს.

სოლო კი ყოველივე ამას ჩამორჩა თავისი შეუგნებლობით და ევთიმა კირკიტაძესთანა მეზობლების იმედით.

ადგილზე მისულმა საბამ სასწრაფოდ შეჰკაზმა თავისი ლურჯა, ასერა პირველი კვალი და მზე ჯერ კიდევ ორი-სამი შუბის ტარზეც კი არ იქნებოდა დასული, როცა მორჩა სოლოს სამუშაოს.

— წევრად ჩაწერა არ დაგავიწყდეს! — ძმური მზრუნველობით ურჩია სალამოს მუშაობას მორჩენილმა და უკან ღასაბრუნებლად გამზადებულმა საბამ.

სოლომ ერთხელ კიდევ მოავლო თვალი დამუშავებულ საყანურს და დამშვიდებით გამოსწია სახლისაკენ.

□□□□□□□□

შ უ რ ი ს ძ ი ე ბ ა

— ცდა? როდემდის?! — უკმაყოფილოდ მიუგო მიშამ რაზმის უფროსს, რომელიც ცდილობდა აღელვებულ წითელ არმიელთა დამშვიდებას.

— არ გვისვენებენ, ამხანაგებო, მაგრამ ვიდრე ბრძანება არ იქნება შტაბიდან, საჭიროა ცდა!

— ო, ერთი ჩვენებური შეტევა და მაშინ ნახავენ ისინი! — ჩაერია ათმეთაური ალიოშა, რომელიც გუშინ გაჰკაწრა გალმიდან ნასროლმა ტყვიამ და ჯოჯგინათ შემდგარ შაშხანებს გადახედა იმედიანი მუქარით.

თუთუნს დაუწყო ხვევა.

პაპიროსის ბოლი ლეგა სვეტებად აღიმართა ჰაერში...

— რომელ ერთს მოვუთმინოთ: ჩინელ თეთრ ჯარებს, რომლებიც ომის გამოუცხადებლად, ჩასაფრებით გვესვრიან, ხუნხუზებს, რომელნიც ესხმიან ჩვენს მშვიდობიან მცხოვრებთ და სძარცვავენ და ხოცავენ, თუ ამ შავრაზმელებს, რომლებმაც ჩინეთ - საბჭოთა კავშირის ურთიერთობა გამწვავდა თუ არა, ისევ წამოყვეს თავი და შეადგინეს რაზმები! მათ ხომ ჩინეთის ჯარის სარდლობა შველის და ამიტომ ბედავენ ჩვენზე თავდასხმას?! — არ ისვენებდა წითელ არმიელი მიშა.

— წინათ აქ რომ იყვენ და გვებრძოდენ, რას გახდენ? ან ეხლა რა უნდა დაგვაკლონ? — უარესი ელით! — გაისმა აქეთ - იქიდან წითელ არმიელთა ხმები.

მზე ჩადიოდა შორს, ჩრდილო ყინულოვან ოკეანეში. არეს სიგრილე დაეტყო.

დაიწურა დღე. საღამო აიფაფრა.

ლეგიონი, რომელიც საზღვარს ახლო მდებარე სოფელ პოლტავკის გლეხებს შველოდა მოსავალის აღებაშენახვაში, დასასვენად დაბრუნდა.

ფანზა *) აღმართულია პატარა მდინარე ხაპტუ - უშაგოუს ნაპირას მაღლობ ბორცვზე და ზვერავს გალძა მხარს, მანჯურიის ყანებით, სიმინდით და ბრინჯით აბიბინებულ ველებს, რომელთაც ალაგ - ალაგ ძუძუებივით ამობურცვიათ სოპკები**).

იქ, მოშორებით, ბინდის ფარდაში ჯერ კიდევ დაინახავთ ფხიზელი თვალით მწვანე ფერდოზე თეთრი ღილებივით აბმულ ჩინელი ჯარის კარვებს.

ქარმა იალქნები აუშვა...

ფანზაზე აღმართული წითელი დროშა, რომელსაც ქარი სცემს სილას და უბერტყავს ყურებს, ალბად კარგათ მოსჩანს გალმიდან...

აქ რომ სხვა, ახალი ქვეყანაა, ეს იციან.

— იმიტომ გვესვრიან?!

— ჰე!..

ფანზას გვერდზე, ხის ძირს, გუშაგად სდგას მიშა.

მისი თვალები რისხვით ელავენ გალმისაკენ.

ხაპტუ - უშაგოუს ხეობაში ნელა მოიპარება ნისლი...

— ფრთხილად! არსაიდან დაგვეცეს მტერი! — ისმის გაფრთხილება...

ფოთლები ჩურჩულებენ...

---

*) სადარაჯო ხის მაღალი სახლი.
**) გორაკები.

მინდვრის ჭრიჭინებს ბაიათი გაუბამთ...

სამრეკლოზე ასტყდა ზარის რეკა.

— განგაში?! — წამოიძახა რაზმის უფროსმა.

სულ რამოდენიმე წუთი იყო, რაც წითელ არმიელები ძილს მიეცნენ...

რაზმი თვალის დახამხამებაში აიშალა. იარაღ - ასხმული ლეგიონი მზად იდგა.

— სმენა!!!

ამ ხმამ გააპო მიდამო...

გალმიდან ისმის თოფების ხმა.

ტყვიები გაბრაზებულ ფუტკრებივით ბზუიან.

მოსაზღვრე ბერა ფხიზლადაა... მისი მორიგე ნაწილი შეება მომხდურთ...

მიშა დაიჭრა მხარში, მაგრამ საგუშაგოს არ სტოვებს...

ამუშავდა ტელეფონი:

— ჩვენს სადარაჯო ბერაზე ირიშით მოდიან ჩინელები. საგრძნობი ძალა გროვდება მარჯვნით. ვიგერიებთ სროლით...

ასეთი ცნობაა.

— განადგურებულ იქნას ჩინელი ყაჩაღები! — მოვიდა ბრძანება და ამ ბრძანების მიღებისთანავე გაისმა რაზმის უფროსის ხმა:

— წინ, იარ!!!

ვიდრე ლეგიონი მოახლოვდებოდა, რაზმი დაიძრა.

არ ისვენებდენ შაშხანები. აჟაკანდენ ტყვიამფრქვევები, აყეფდენ ზარბაზნები. გრიალებს არე... ზანზარებს დედამიწა...

— საბჭოების დაცვად!

და ამ სიტყვებით ეკვეთა რაზმი მოწინააღმდეგეს.

სანგრებიდან ამოყარა ჩინელთა ათასეული. ვინც ტყვეობას გადარჩა, გარბის...

— თხებია?! — იცინის მიშა.

რაზმის უფროსი ტყვიით განგმირული დაეცა. სიკვდილის წინ მოვალეობა თანაშემწეს გადასცა. მიშა დაჭრილია, მაგრამ მაინც არ ბრუნდება და მძიებელთა გუნდში რჩება.

მთვარე ნაზუქივით აწითლებული ამოგორდა სოპკების იქიდან და გადმოეკიდა ცის ლურჯ კამარას... გამოჩნდა დაბა სანჩაგოუ.

— ეს რაა, ალიოშა? — შეეკითხა მიშა, როცა მძიებლებმა ბილიკს აუხვიეს და ხეზე შენიშნეს რალაც ჩამოკიდებული.

— ვერა ხედავ, მოჭრილი თავი, თავისივე თმით ტოტზე! — მიუგო მან, როცა ახლოს მივიდა.

— ჰმ! მე კი მეგონა გოგრა თუა-მეთქი ღეროთი ჩამოკიდებული... — გაიხუმრა მიშამ, მაგრამ გულში საშინელი ტკივილი იგრძნო.

— რათა, რისთვის?!

— რათა და ჰკითხეთ ჩინელ ყაჩაღათ დუბანებს*) და გენერლების გულქვაობას!

ვინ იცის რა წამებას არ გამოეგონებენ ხოლმე!..

ჩინეთს ხომ ასეთ გამოგონებაში ტოლი არა ჰყავს...

ხის ძარში ჩაკუცქული მოხუცი ჩინელი გლეხი შენიშნეს, შემოეხვიენ.

— ყაშუშა! ყაშუშა! — გაისმა წითელ არმიელების ხმა.

— ო, არა, არა! — წარმოსთქვა მან შიშით და მუდარით.

— მაშ აქ რა გინდა ამ დროს?

— ეს ჩემი შვილის თავია; ვდარაჯობ, რომ არათერმა შისჭამოს... ტანი ჩავფალი მიწაში, მაგრამ თავის დამარხვის ნება არ მომცეს ყაჩაღებმა. — აქვითინდა მოხუცი.

— რათა?

— რაც ეს მშიერი ყაჩაღები მოაყარეს თქვენს საზღვარს მუკდენიდან, გირინიდ, ციციკარიდან**), მოსვენებას არ გვაძლევენ. სოფელი აიკლეს, გვინადგურებენ ნათესებს. გვპარავენ და გვტაცებენ ბოსტნეულს. და თუ რამე უთხარით, ხმა ამოვიღეთ, მორჩა — თავი მხრებს ვერ გამოეთხოვოს... და ჩემი შვილიც... ჩემი ლი-ჟუ, შეება, არ დაანება პამიდორი და კიტრები რომ მოსწყვიტეს, ტომრები დატენეს... —

*) გუბერნატორი.

**) ქალაქებია მანჯურიაში.

განაგრძობდა თვალცრემლიანი მოხუცი.

— რა გქვიან?

— ლი-ჩოუ. აგერია იმ პატარა სოფლიდან ვარ. — მიუგო მან და ხელი გაიშვირა სანჭაგოუს აღმოსავლეთით, ლელეს გალმა პატარა სოფელზე.

— სად არიან მცხოვრებნი?

— გაიქცნენ. ზოგი კი ჯარში გაიყვანეს, სანგრებს ათხრევინებენ.

— მერე და შენ კი აო გეშინია, ჩვენი, ლი-ჩოუ? — გაეხუმრა ღიმილით მიშა და ხელი მხარზე დაადო.

— მე? რათა? არა... მე თქვენ გიცნობთ... თქვენ ღარიბი გლეხების, მუშების, რიკშების*) დამცველები ხართ.

— რუსული საიდან ისწავლე?

— მე ამურის რკინის გზაზე ვმუშაობდი ამ რამდენიმე წლის წინათ... მერე ყანის მჯობი ვშიელოდი ხოლმე რუს გლეხებს სუნგარის შესართავთან... თქვენში კარგი წესებია, გლეხები თავისუფალი არიან... ჩვენში კი, ოჰ! — და ლი-ჩოუმ პატარა თვალები შიშით მიმოავლო გარს.

— ნუ გეშინია, ლი-ჩოუ, განაგრძე.. სადაც ჩვენა ვართ, იქ ღარიბ გლეხებს შიში არ ელით! — გაამხნევა მიშამ.

— ჩვენ ხალხს სძულს დუბანები და მათი ჯარი. ისინი გვძარცვავენ, გადასახადებით სულს გვაძრობენ... მოდით, გეშველეთ, დაგეხსენით... მომეცით თოფი, მეც თქვენთან ერთად წამოვალ საბრძოლველად, როგორც ერთხანად იბრძოდა თქვენთან ერთად ჩემი ლი-ჟუ, ატამან სემიონოვის წინააღმდეგ... ჩემი მეორე ვაჟი ხომ ჯარში წაიყვანეს და არ ვიცი, ცოცხალია თუ მკვდარი...

— არ გინდა, ლი-ჩოუ, იმათ ჩვენ გაუსწორდებით და როცა აქ აჯანყების დროშას ააფრიალებთ, ჩვენ, წითელი არმია, მუდამ მზადა ვართ დაგეხმაროთ.

ლი-ჩოუ დაღონებული, მაგრამ ამ სიტყვებით გამხნევებული, მოლიმარე გაჰყურებდა სანჭაგოუსაკენ მიმავალ ლეგიონს...

*) ცხენის მგზავრ პატარა ეტლებში გაბმული ჩინელები.

— მე რვა წელი გადამეწყვიტეს იმიტომ, რომ პიონერთა ორგანიზაციაში ვიყავი, აგერ უკვე სამი წელია იმ საკანში ვარ... ციხის დარაჯი ბამბუკით მცემს ხოლმე, არაფერს მაჭმევენ. — ამბობს პატარა ბიჭი და სიხარულით შესცქერის წითელ არმიელებს, რომელნიც ბორკილებს უხსნიან.

— აქაური ხარ? — ეკითხება მიშა.

— არა, ციციკარიდან. იქ მამაჩემი რკინის გზაზე იყო, ჩამოახრჩეს, დედა სადღაც წაიყვანეს ოფიცრებმა... მეც უნდა მოვკვდე, გამოვიქეცი, ბაგრამ გზაში დამიჭირეს. აქა ვარ მას შემდეგ...

გარიჟრაჟდა...

ბრძოლის შემდეგ ლეგიონმა აიღო სანჭაგოუ; ჩინეთის ჯარმა და პოლიციამ დასტოვა დაბა და შორს დაიჭირა.

ლეგიონმა აღგილობრივი ციხე გატება, გაანთავისუფლა პოლიტიკური პატიმრები და მათ შორის ეს პატარა ბიჭიც.

შტაბიდან მოვიდა ბრძანება:

— დაიხიეთ საზღვარზე!

— ეჰ, გაგვიშვით რაღა, ხარბინზე, მუკდენზე!

გაისმა არმიელებში.

— არა უშავს რა. ეს გაკვეთილიც ეყოფათ და, თუ, ვინიცობაა, მაინც არ დაეტიენ თავის ტყავში. იქაც მივიტანთ ჩვენს წითელ დროშას! — წარმოსთქვა ალიოშამ, ათმეთაურმა.

სანჭაგოუს აღებისას ღარიბი გლეხობა ზეიმით შეხვდა წითელ ლეგიონს და ეხლა, როცა ლეგიონი თავის საზღვარს უბრუნდებოდა, ხალხი გულდაწყვეტილი მიაცილებდა.

ლეგიონის თავმა მიმართა ტყვიებს:

— თქვენ შეგიძლიათ დაუბრუნდეთ თქვენს ყანებსა და მინდვრებს... თავისუფალი ხართ!

წინ ერთი წამოდგა და განაცხადა:

— ო, არა, არა... წაგვიყვანეთ.. გვცემენ, დაგვხვრიტავენ, ციმშილით სულს ამოგვხდიან... ჩვენ თქვენს წანაალმდეგ არ გვინდა ბრძოლა... ძალად გამოგვრეკეს! — სჩიოდენ ჩინელი გლეხი-ჯარისკაცები.

— მუკდენში სახლს ვაშენებდით, ალყა შემოგვარტყეს და აქეთ გვიკრეს ცეცხლი...

აცხადებენ სამხედრო ფორმაში ჩაცმული კალატოზები, მჭედლები, დურგლები...

— აქვე ახლოსაა ჩემი სოფელი, იქა მყავს რევოლიუციონერი ძმა და მოხუცი მამა. მე ძალად მომწყვიტეს მიწას... — დაუმატა ყველაზე დაბალი ტანის ჯარისკაცმა...

— თქვენ რომ მოახლოვდით, ჩვენ მოვკალით ჩვენი უფროსი ოფიცერი და ეს კი, აგერა ის, არა... ეს არაა ისე ბოროტი... ესეც ჩვენთან ერთად ჩავარდა ტყვედ.. ამასაც არა აქვს თქვენთან ბრალის ხალისი...

წარმოსთქვა კალატოზმა და ხელი გაიშვირა ფერმკრთალ ახალგაზრდაზე, რომელსაც თავი ჩაელუნა ხმალზე დაყრდნობილს...

გასჩხრიკეს. მას ჯიბეში უნახეს საბუთები და წერილი დედისაგან, სადაც მოუთხრობდა სამშინელ გაჭირვებაზე, სიმშილზე...

გამოირკვა, რომ ის იყო წამოყვანილი შორეულ შანხის პროვინციიდან. მას იმდენი ჯამაგირი არ ჰქონდა, რომ თავიც ერჩინა, მაგრამ რასაც იშოვიდა, მაინც დედას უგზავნიდა...

— როცა ჩან - კაი-შის მივყავდით რევოლიუციის გასამარჯვებლად, ეს ხმალი მიშის მგვრიოლად ელავდა მტრებზე. მაგრამ როცა მან ულალატა ჩვენს მიზანს და თქვენს წინააღმდეგ დაგვძრა, ეს ხმალი დაჩლუნგდა... — წარმოსთქვა მან და ხმალი ლეგიონის თავს ფეხთან დაუდო.

— არა, გქონდეს... შენ ღირსი ყოილხარ მაგის ტარებისა! ემსახურე რევოლიუციას — მიუგო ოფიცრის გულწრფელ თქმით გულაჩუყებულმა ლეგიონის თავმა და უკან დაუბრუნა...

— თქვენთან ერთად! — წარმოსთქვა მან და ხმალი საპატიოთ აიღო მაღლა...

— მეტი რა გზაა, წავიყვანოთ...— დაატანა სამხედრო კომისარმა.

***

— ლი-ჩოუ?! საბრალო მოხუცი!— დანანებით წარმოსთქვა მიშამ, როცა უკან ბრუნდებოდენ.

გზაში სწორედ იმავე ხის ძირში, სადაც წუხელის წააწყდენ, მოხუცს, ეწყა სასიკვდილოდ დაჭრილს წაალდგენ თავზე. მას ჩამოეხსნა ტოტიდან შვილის თავი და გულში იკრავდა...

ჩამოხსნის დროს მას მოუსწრეს ჯალათებმა და ესროლეს...

— ხუნხუზ!.. ხუნხუზ!.. — ამ სიტყვებთან ერთად ხელი სოფლისაკენ გაიშვირა, თვალები დახუჭა და გაიჭიმა მომაკვდავი.

— მამა! ძმაო! — შეჰყვირა პატარა ტანის ჯარისკაცმა, რომელმაც სანჩაგოუში სთქვა—აქვე ახლო სოფელი დანა ვარო.

— მამა?! ძმა? — გაკვირვებით შეხედეს არმიელებმა.

— ჰო, აკი წუხელის ამბობდა ეს მოხუცი, ერთი შვილი ჯარში წაიყვანესო... — ჩაერია მიშა.

— შურისძიება!!! — ჰკიოდა ლი-ხო, პატარა ტანის ჯარისკაცი. ის გაჰყვა იმ ასეულს, ხუნხუზებს რომ დაედევნა და თოფს ჰაერში ათამაშებდა...

— მეგობარო, მალე შეუტევთ? მალე ამომაყრევინებთ ჯავრს? იქნება იქ სადმე დედას შეხვდე!.. — არაერთხელ შეკითხებია ტუსაღობიდან განთავისუფლებული პიონერი, პატარა სე-ნი, მიშას, რომელსაც ჩააბარეს აღსაზრდელად.

მიშა ისევ ფანზასთან იდგა.

— არ ვიცი, ჩემო პატარა მეგობარო... ვნახოთ... ალბად მალე. — ეუბნებოდა მიშა და მხიარულად თავზე ხელს უსვამდა...

— შურისძიება!!! — დაატანდა პატარა ტანის ჯარისკაცი ლი-ხო და მუშტს გალმა იქნევდა მუქარით...

სოფლის გუშაგი

მიხამ რომ დაბაში უკანასკნელად დაუწყო კოოპერატივში შეძენილი ოჯახისათვის საჭირო საჭონელი, სადაც ჩააბარა გასასაღებლად თავისი მიწის მოსავალი — სიმინდი, კართოფილი, ხილი, მზე უკვე ქედს გადაეწვერა და აიკრიფა სხივები.

— აბა, ნახვამდის, ვანო; ზეგ კიდევ ჩამოვალ; აქ მაინც საქმე მაქვს, თემკომში, და... — უთხრა მან კოოპერატივის ნოქარს, რომელთანაც ერთად შეადგინა მათ სოფელში კოოპერატიულ დუქნის გახსნაზე შუამდგომლობის გეგმა...

— კარგი, მიხა, აგრე... ჩემი დახმარების იმედი გქონდეს — მიუგო ნოქარმა. მიხამ გადააწნა წაბლას და ღვინიას სახრე და გაუდგა სოფლის შარა გზას. იჯდა კოფოზე და ღიღინებდა იმედიანად.

ცაზე გველების ჭარავანივით გაიბა ლეგა ღრუბელთა ჭულები, რომელსაც ჭარი მიელალებოდა საითლაც დასიცილ აქლემებივით...

ბარაქიანი მინდვრები ისვენებდენ ტრაქტორთა რაზმის მოლოდინში, რომელთაც დარაჯებივით უდგნენ ტყიანი მთები, სადაც ნისლი სცდილობდა შეფარვას გაჭცეულ ყარაღივით და ამაყად გადმომჭდარი ორბები ჰკიოდენ, ონავარ თვალთა აბრიალებით...

***

მიხა იყო წითელი არმიიდან უვადო შვებულებაში წამოსული, შარშანდლიდანვე და, რაც წითელ სკოლაში — ყაზარმაში შეესწავლა, ყოველ მხრივ სცდილობდა ახალ გზაზე შეეგო სოფლისათვის მოეხმარა, აეყვანებინა, დახმარებოდა თანამესოფლეებს და წინ წაეწია ჩამორჩენილი მშობლიური მხარე...

— აბა, ვინძლო, ამხანაგებო, ეხლა რომ თქვენ სოფლებს დაუბრუნდებით, გამოიყენოთ აქ შეძენილი ცოდნა, და არ გასწყვიტოთ კავშირი თქვენს ალმზრდელ ყაზარმასთან. — ეხლაც ახსოვს ეს სიტყვები, რომელიც უთხრა წინ მიმავალებს ლეგიონის სამხედრო კომისარმა და დაარიგა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვენ სოფლად...

— აბა, ამხანაგებო, თქვენ მიდიხართ ყველა ამისათვის მომზადებულნი და იმუშავეთ მხნეთ. განამტკიცეთ ქალაქის მუშისა და სოფლის გლეხობის კავშირი — ეს საწინდარი ჩვენი ქვეყნის აღორძინების, მალე გადასვლის სოციალიზმში; თქვენ ხართ საბჭოთა ხელისუფლებისა და კომპარტიის თვალები სოფლად და ფხიზლად გეჭიროთ; არ შესწყვიტოთ კავშირი თქვენს ალმზრდელ წითელ ყაზარმასთან და თუ საჭიროება მოითხოვს და მოგიხმობთ, უმალ აქ გაჩნდით პირველ განგაშზევე... — უმატებს ლეგიონის უფროსი.

— ჩვენ შევასრულებთ ყველა ამას! — იყო წითელ არმიელთა პასუხი.

აი რა მოგონებები მიჰკრთდენ მიხას გონებას და მეხსიერებას თვალწინ და ახლად აბიბინებულ ულვაშზე ღიმილი ეკსოვებოდა.

***

ობლობაში აღიზარდა მიხა. მას დედმამა ადრე დაეხოცა და ბებოლა გლეხის — კაკოლას მოკვამაგირეობაში ამოსდიოდას ული; დარჩა უსწავლელი და,რა წამოიზარდა სოფელში ტოლები ვერა სჯობნიდენ. საუკეთესო მშრომელად ითვლებოდა; ამასობაში

თვალი მოჰკრა და გულში ჩაუვარდა ერთი ულარიბესი გლეხის ქალი, თინა, და თითონაც ატყობდა თინას მაზე გულის დანდობას. თინას მამაც, რომელსაც მის მეტი შვილი არა ჰყავდა, სიამოვნებით შეიყვანდა თავისთან ზედ სიძედ, რაიც მოხდა კიდეც შემდეგ, როცა მიხა დაბრუნდა წითელი არმიიდან.

— ე მიხა დროზე მომეშველა, ეგაა ჩემი ვარჯვენა ხელი — იტყოდა ხოლმე მოხუცი ანდრია მეზობლებში და ჩიბუხს ქალამნის წვერზე დაიბერტყუდა...

— ჰა, თინა, ტყუილს ვამბობ? — შეეკითხა შვილს ერთხელ, — ძაან ბიჭია ხომ?

— იჰ, აბა რა ვიცი, ქაა?—ამის მეტი ველარა მიუგო-რა თინამ და მორცხვად თავი ჩაღუნა. ეს კი მისი სიყვარულით ალსავსე გულის დასტური იყო.

— ჰაი დედასა! აბა ვინ იფიქრებდა, რომ ესეთი ბიჭი დაბრუნდებოდა ჯარიდან მიხაი?

— გახსოვს, ვიდრე იქ წავიდოდა, ცინგლიანს რომ ვეძახდით ხოლმე?

— ჰო, აბა ეხლა გადაუდექით წინ! იქ წასვლამდე თუ ანაბანაც არ იცოდა, აბა ეხლა შეეჯიბრეთ!..

— ასე იცის წითელმა ყაზარმამ—

ხშირად მოჰკრავდით ყურს შეკრებილ გლეხების ასეთ საუბარს, რა მიხას შეამჩნევდენ ან გავლილს, ან სასოფლო ყრილობაზე მოლაპარაკეს.

***

მიხა სამაგალითო იყო ყველასათვის და ყველა აქებდა მას, ყველა უჯეროდა, მის რჩევას ყურს უგდებდენ. ყველას საყვარელი შეიქნა, მაგრამ მას ჰყავდა მტრებიც, რომლებიც ვერ ინელებდენ მის მუშაობას. მასში ხედავდენ დაუძინებელ მტერს; მიხა მათ მუდამ კრიჭაში ედგა და გასაქანს არ აძლევდა; ის იყო აგრეთვე სოფლის მოამბე, გლეხი კორესპონდენტი და ამჟღავნებდა სოფლის არასასურველ პირთა მიერ ჩადენილ ბოროტებებს და მოითხოვდა მათ ალაგმვას...

ვინ იქნებოდა მისი მტერი, როცა ის უკვე შეუდგა სოფლის ულარიბეს გლეხთა, საშუალოთა და მოჯამაგირეთა კოლმეურნეობებში დარაზმვას? ვის ეცლებოდა ამით გავლენა ღარიბებზე, სოფელზე, რომლებსაც ნახევარ ფასში ამუშავებდა თავის მამულში, ზვარში? ვინ მოექცა შავ სიაში, როდესაც მიხამ საბჭოთა არჩევნებზე გაანაცხადა:

— ბევრი უქნარა წევრი ძველი საბჭოსი სცდილობს ისევ გაძვრეს, მაგრამ ჩვენ არ უნდა დავუშვათ! უნდა გავრიყოთ ყველა არამზადები; შავ სიელების პროვოკაციას ბოლო უნდა მოუღოთ, გავცოცხლოთ; საბჭოები ჩვენი ხელისუფლების საფუძველია და ის უნდა გავწმინდოთ არასასურველ პირებისაგან. მასში უნდა ავირჩიოთ ულარიბესი და საშუალო გლეხობა, მოჯამაგირეობა, მშრომელი ქალები, პატიოსანი ინტელიგენტური ძალები; უნდა ამოძრავდეს ღარიბთა ჯგუფები, პარტიულები, კომკავშირელები...

— ჰმ! ნამოჯამაგირალიც რომ შე მაჯდება თავზე!—ჩაილაპარაკა კბილების კრაჭუნით ვილაცამ.

ვინ დაემტერებოდა მიხას, როდესაც მან სოფელი დაითანხმა და უკვე შეუდგა კოოპერატიულ დუქნის გახსნას? ვის შეეძლო მტრობა, როცა მან უკვე გაახსნევინა აქ მაზრის ჯანმრთელობის განყოფილებას საექიმო პუნქტი, რომელიც ამ მოკლე ხანში დაიწყებდა მოქმედებას? ვინ იქნებოდა ფარული მტერი, როცა მიხამ ჩამოაყალიბა უსმერთოთა წრე, საყდრის კლუბად გადაკეთება ურჩია სოფელს და სხვა?

და მუდამ მორცხვი თინაც კი აამოქმედა, ისე გამოწვია, რომ სოფლის ქალთა წრეებში საუკეთესო მომუშავედ გადაიქცა...

ამ ფიქრებს უტრიალებდა მიხა, როცა ურემი შეჩრიალდა ორღობეში...

ბინდი ჩამოწვა...

გორაკზე გადმომდგარ სოფელში აქა-იქ უკვე აბჟუტდა სანათები, რაღაცა ერთი ვერსი-ღა და უკვე ნახავს თავის თინას და პატარა ბიჭუნას. გაახარებს ახალი საჭონლით ოჯახს, მაგრამ...

— შესდექ!

— შეაყენე ხარები!

მიხამ შენიშნა ვენახების ღობეებზე რომ გადმოხტა ორი კაცი, ყაბალახ ახვეულები სახეზე და ხელში ხანჯლებით...

ერთი მათგანი ხარებს გადაუდგა წინ, შეაჩერა და მეორე კი ურემს უკანიდან აუხტა და ხანჯლით შეუტია მიხას.

მიხა არ დაიბნა, სწრაფად შემოტრიალდა და ისე მაგრა სდრუზა იფნის სარე ჯერ სახეში და მერე მაჯაზე, რომ ურემზე ამხტარი დამცემი შეტორტმანდა და ჯერ ვერ მოსულიყო გონს, რომ სახრემ კიდევ გაადინა ტყლაშანი და ხანჯალი დაუვარდა. თავდამსხმელი დაიღუნა ასაღებად, მიხას უკვე ფეხი ედგა ხანჯალზე და ხელდახელ ეცნენ ერთმანეთს.

მიხამ ღონიერი მკლავებით მოწინააღმდეგე ქვეშ ამოიდო, მაგრამ ამ დროს მეორე თავდამცემი აუხტა. ხანჯლის რამოდენიმე დარტყმა უკანიდან და მიხა შეტორტმანდა, თვალთ დაუბნელდა, ჭალზე ხელი მოჰხვია და.. მეტი აღარაფერი ახსოვდა, თიდქეს ბურანში წავიდა, გატვრინდა, ურმიდან ძირს გადმოეშვა...

— მგონია მოკვდა!

— მეც ეგრე მგონია!.. ეხლა წავიდეს და ირიკაოს!..

ვგონებ ეს სიტყვები-ღა ჩასწვდა ყურში მიხას, ვიდრე მთლად დაჰკარგავდა გონს და თავიდან იფეთქა სისხლმა, ზურგიდან ხომ აღარ სჩანდა რამდენ ადგილიდან სდიოდა...

ის კი ვეღარ ნახა, დამცემებმა როგორ გაძარცვეს ურემი, როგორ დაითრიეს, რასაც კი მოერეოდენ...

ნაშუადამევი იყო, როდესაც ჭკვიანი ხარები შესდგენ მიხას სახლის წინ...

***

— რა ვქნა, რა იქნა მიხა?- — გაიკვირვა თინამ. მთვარის შუქზე შეამჩნია ურემზე სისხლი.

შეწრიალდა სოფელი. დაიწყო ძებნა. გაჰყვენ დაბის გზას და იქ, სადაც გზას სჭრის წაბლა-რუ, ბოგირზე წააწყდენ უგრძნობლად მდებარე მიხას.

ის მაშინ ჩამოკურდა თურმე ურმიდან, როცა შეატყო დამცემთ ძალის უპირატესობა, დასუსტდა ჭრილობებით, რათამკვდრად მოსჩვენებოდა მათ, მერე სცადა ადევნება, მაგრამ დაბარბაცდა, კაკლის ხეს მოეყრდნო... მან გაიგო წაბლა-რუს ნელი დუდუნი, მივიდა ძლივს, უნდოდა დასწაფებოდა, პირი უშრებოდა, მაგრამ გაახსენდა, რომ დაჭრილს არ დაელევინება წყალი, მაგრამ კეფის მობანვა კი იწყო, რომელიც სასიკვდილო დაზიანებისაგან წითელ არმიელის საზამთრო ქუდმა დაიფარა. ის ვეღარ აღგა, ტკივილები აწუხებდა, ხის ძირას მიეყრდნო... და აღარ ახსოვს საძებრად ხალხი როგორ წააწყდა, როგორ აიყვანეს სოფელში...

მაშ არ გახსოვს, ამხანაგო მიხა, ვინ იყვენ? — შეეკითხა მეორე დილას აღმასკომის თავმჯდომარე ლოგინში მწოლარე მიხას, როცა ის გონს მოვიდა.

— არ მახსოვს... პირახვეულები იყვენ... ერთი ქვეშ ამოვიდე. მაგრამ მეორემ... ერთ-ერთს ჩემი ნაცემი უნდა ეტყობოდეს... — მიუგო მიხამ სუსტი ხმით.

— საშიში არაა, ჩემო დაო, თუ ისე მოუარეთ, როგორც დაგარიგეთ და ორი კვირის შემდეგ ფეხზე წამოდგებაა... — დააიმედა ექიმმა თინა, რომელიც ლოყებს იხოკდა...

— უმეტესი საქონელი წაღებულია? მაშასადამე ყაჩაღები?! მაგრამ აქეთ მხარეს ასეთი შემთხვევა რომ არ ყოფილა?! ნუ თუ გაძარცვის მიზნით?! სოფელი დაფიქრა ამ ამბავმა. ახალგაზრდობა ეძებდა ბანდიტებს.

***

— ეგ რა მოგსვლია, კაკოლი? თავი რაზე შეგიხვევია? — ჰკითხა ვენახისაკენ მიმავალ კულაკ კაკოლას აღმასკომის თავმჯდომარემ.

— არაფერია... გუშინ შეშასა ვჭრიდი, და ი ვერანა ნაფოტი მომხვდა...— მიუგო კაკოლამ და გზა განაგრძო.

— ჰმ!!! — შეეშვდა თავმჯდომარე, მით უფრო, რომ არა ერთხელ უთქვამთ მისთვის, მიხას ემტერებაო.—შესდექ!

— რა გინდა, ილიკო? — შეეკითხა ბაკოლა, ნაძალადევი ღიმილით.

— აბა, წამო აღმასკომში!

ბაკოლას ფერი ეცვალა...

— რაშია საქმე?

— აბა ტანზე გაიხადე... — უთხრა თავმჯდომარემ, როცა აღმასკომში ავიდენ და მდივანს მიმართა ექიმი მოეყვანა.

— რათ უნდა გავიხადო?

— მაგას ეხლავე გაიგებ!

ექიმმა კაკოლას ტანზე მრავალი წილურჯე აღმოაჩინა...

— თვალზე ნაფოტი მოგხვდა, მაგრამ ტანზე რაღა?!—დაცინვით შეეკითხა თავმჯდომარე.

— ეს კიდევ... — რაღაცა უნდა ეთქვა კიდევ კაკოლას, მაგრამ ენა აერია, დაიბნა, გაება... და ყველაფერი ალიარა...

— მაპატიეთ, შევცდი — დაუჩოქა ხვნეშით...

— შევცდიო?! ჰმ!.. ვინ იყო კიდევ შენთან?

— მეღუმნე იყო გუცა...

ამის თქმა იყო და რამდენიმე ახალგაზრდა გაქანდა მოსაყვანად, მაგრამ ის იქ აღარ დახვდათ. რამდენიმე საათის შემდეგ დაიჭირეს სადგურისაკენ მიმავალი ქალაქში გასაქცევად.

— რად გაძარცვეთ, თუ მხოლოდ მოკვლა გინდოდათ მიხასი?

— იმიტომ, რომ ნამდვილი მიზანი დაგვეფარა.

— ნაძარცვი რა უყავით?

— მღვდელ ონოფრეს მივაბარეთ.. სტაცეს იმასაც ხელი.

— აბა, რა ვიცოდი, შვილო, მითხრეს: მამაო, ცოტა ხანს შეგვინახეო, და... მეც... ალბად შემაცდინეს—იმარ! თლებდა მღვდელი თავს.

— რასაკვირველია, აბა, მაშ მღვდელი მაგას იკადრებდა?! რამ გაგასულელათ? გაუშვით ხელი! — ჩაერია საბედა, აქაური მკითხავი-ექიმებაში, მაგრამ ისიც ამ სამეულს მიუყენეს.

— გუშინწინ ეს ოთხივე გუცას დუქანში იყვენ და რაღაცაზე ლაპარაკობდენ ჩუმად, მე რომ შევედი თამბაქოსათვის, ხმა ჩაწყვიტეს... და აბა, რა ვიცოდი, თუ ასეთ საქმეს აწყობდენ?! —წარმოსთქვა მენახირე გაბომ.

— სიკვდილი მაგათ!!! — იგრიალა ხალხმა — ჩავჭოლოთ აქვე!!!

— არა, ამხანაგებო! ეგრე არ ვარგა!.. ჩვენი ხელისუფლება თავისი რევოლიუციონური კანონით თვითონ მიუსჯის რაც ეკუთვნით!.. — ძლივს დაამშვიდა თავმჯდომარემ აღელვებული ხალხი და ოთხივე დამნაშავე გაუყენა გამოსწორებულ სახლის გზას.

მიხა მალე განიკურნა და სოფელში ისევ ტრიალებს!..

ა 984 ბ
1929

გაზეთ „ახალი სოფლის“-ს

წლიური ხელისმოწერანი ყოველ ორ კვირაში ერთხელ უშასოთ მიიღებენ თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურის ნაწარმოებებს.

ბიბლიოთეკის მიზანია: მიაწოდოს მშრომელ გლეხობას თანამედროვე მწერლების ახალი და საუკეთესო მოთხრობები და ლექსები.

დაიბეჭდება და ცალკე წიგნებათ გამოვა **ხალხური სიტყვიერების რჩეული ნიმუშები, პიესები სასოფლო თეატრისათვის** და ყველა უცნობ ახალგაზრდა მწერალთა ნაწარმოები, რომელიც მოწონებულ იქნება რედაქციის მიერ.

ცალკე წიგნებათ გამოვა აგრეთვე **საბავშვო მოთხრობები.**

ამხ. გლეხებო! გამოგზავნეთ გაზ. „ახალი სოფლის“ რედაქციის სახელზე თქვენ მიერ დაწერილი მოთხრობები და ლექსები. მოწონებულ მასალას პირველ რიგში დაბეჭდავს და გამოსცემს „ახალი სოფლის“ ბიბლიოთეკა.

დაიბეჭდა და გამოვიდა

№ 1. გ. ქუჩიშვილი—

ბრძოლის და შრომის სიმღერები